პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №---

2025 წლის --- იანვარი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232975 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^{5}, 46^{6}, 172-ე მუხლით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით), 172^{6}, 172^{8}, 172^{9} და 173^{14} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე“.“

ბ) განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{11}, 55^{2}, 55^{6}, 64^{2}, 77^{1}, 82^{5} (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 107^{4}, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 119^{1}, 134^{1}, 146^{1}, 148-ე, 150^{1},

151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{2}, 152-ე, 152^{2}, 152^{5}-152^{9}, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4}, 156^{2}, 156^{4}, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^{1} და 172^{10} მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებ-ზე“.“

გ) განკარგულების მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე“.“

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ეს განკარგულება, გარდა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 01 აპრილიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 13 დეკემბრის N169-Iმს-XIმპ კანონით განხორციელებული ცვლილების მიხედვით კოდექსის რიგი მუხლები, რომლებზედაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსაზღვრული პირები ახდენენ რეაგირებას ამოღებულ იქნა, ასევე ცვლილებით კოდექსს დაემატა ახალი სამართალდარღვევის მუხლები. კერძოდ ცვლილებით კოდექსიდან ამოღებული იქნა 77^{2} და 156^{1} მუხლები, ხოლო დაემატა 156^{2} და 156^{4} მუხლები. განხორციელებული ცვლილებების ამოქმედდეს უნდა 2025 წლის 01 აპრილიდან.

ასევე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის №4453-XVIმს-Xმპ კანონით განხორციელებული ცვლილებით კოდექსს დაემატა 172^{10} მუხლი, რომლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას ახდენენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსაზღვრული პირები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრა. შესაბამისად განკარგულების მიღების მიზანია კოდექსის 156^{2}, 156^{4} და 172^{10} მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილების მქონე პირთა განსაზღვრა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ მუხლებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირი. აღნიშნულის საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232975 განკარგულებით კოდექსის რიგ მუხლებზე რეაგირების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის

დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს. 2025 წლის 01 იანვრიდან აღნიშნული სამსახური გადავიდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ში, რაზედაც საჭიროა განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

განკარგულების პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით 156^{2}, 156^{4} და 172^{10} მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ თანამშრომლები, ასევე კოდექსის გარკვეულ მუხლებზე რეაგირების უფლებამოსილების მქონე პირებად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლების ნაცვლად განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

პროექტით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №g-15.15232975 განკარგულებაში შედის შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის ''გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს უნდა შემდეგი რედაქციით:

„გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46^{5}, 46^{6}, 172-ე მუხლით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით), 172^{6}, 172^{8}, 172^{9} და 173^{14} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევებზე“.“

ბ) განკარგულების მე-3 პუნქტის ''ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს უნდა შემდეგი რედაქციით:

„ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{11}, 55^{2}, 55^{6}, 64^{2}, 77^{1}, 82^{5} (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 107^{4}, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 119^{1}, 134^{1}, 146^{1}, 148-ე, 150^{1}, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{2}, 152-ე, 152^{2}, 152^{5}-152^{9}, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4}, 156^{2}, 156^{4}, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159-ე, 159^{1} და 172^{10} მუხლის პირველი მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევებზე.“

გ) განკარგულების მე-3 პუნქტს დაემატოს უნდა შემდეგი შინაარსის ''დ“ ქვეპუნქტი :

„დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-

თალდარღვევათა კოდექსის 172[10] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე“.“

ასევე პროექტით პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედების თარიღად, კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულია 2025 წლის 01 აპრილი.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების მიღება დამატებითი ხარჯების დაფინანსებას არ ითვალისწინებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტი გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით და საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია".

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე